ქალაქ ბათუმის საკრებულოს

დადგენილება №24

2017 წლის 28 ივნისი

ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე" ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები, თანახმად დანართი 1-ისა.
2. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები, თანახმად დანართი 2-ისა.

3. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები, თანახმად დანართი 3-ისა.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 26 თებერვლის №10 დადგენილება (გაზეთი „ბათუმური ქრონიკები“ №95, 02.03.2010, გვ. 8).

მუხლი 3

დადგენილება ძალაში შევიდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ლაშა სირაბიძე**

დანართი 1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები

N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2750
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2350
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2000
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2000

დანართი 2

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები

N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსი	1650
2	მეორადი სტრუქტურული ერთეულის (განყოფილება) უფროსი	1150
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1050
4	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	900
5	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	800
6	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	700
7	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	600
8	მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	550

დანართი 3

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები

N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	მერი	2750
2	ვიცე-მერი	2150
3	მერის მოადგილე	2050
4	პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი, სამსახური) უფროსი	1650
5	პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი, სამსახური) უფროსის მოადგილე	1350
6	მეორადი სტრუქტურული ერთეულის (განყოფილება) უფროსი	1150
7	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1050
8	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	900
9	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	800
10	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	700
11	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	600
12	მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	550